ცვლილებები საერთაშორისო დაცვის ნებართვებში 2025 წლის 2 იანვრიდან

უცხოელთა კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2025 წლის 2 იანვრიდან საერთაშორისო დაცვის ნებართვების მოქმედების ვადა შემცირდება და იქნება დროებითი.

საერთაშორისო დაცვის ნებართვები არის:

- ლტოლვილის სტატუსის საფუძველზე მინიჭებული თავშესაფარი და
- ბინადრობის ნებართვა შენაცვლებითი მფარველობის საფუძველზე.

როგორ შემცირდება საერთაშორისო დაცვის ნებართვების მოქმედების ვადა?

თავშესაფრის და შენაცვლებითი მფარველობის საფუძველზე პირველი და გახანგძლივებული ბინადრობის ნებართვები ადრე 4 წლის ვადით გაიცემოდა.

2025 წლის 2 იანვრიდან ნებართვები გაიცემა შემდეგნაირად:

- თავშესაფარი გაიცემა 3 წლით.
- ლტოლვილის სტატუსის საფუძველზე გახანგძლივებული ნებართვა გაიცემა 3 წლით.
- შენაცვლებითი მფარველობის საფუძველზე პირველი ბინადრობის ნებართვა გაიცემა ერთი წლით.
- შენაცვლებითი მფარველობის საფუძველზე გახანგძლივებული ნებართვა გაიცემა 2 წლით.

თქვენი ამჟამინდელი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა არ შეიცვლება

ზემოთ წარმოდგენილი ცვლილებები ეხება მხოლოდ 2025 წლის 2 იანვრის შემდეგ საერთაშორისო დაცვის საფუძველზე გაცემულ ბინადრობის ნებართვებს.

თუ ამჟამად თქვენ მოქმედი საერთაშორისო დაცვის საფუძველზე გაცემული ბინადრობის ნებართვა გაქვთ, არაფრის გაკეთება არ გჭირდებათ. თქვენი ბინადრობის ნებართვა ჩვეულებრივ ძალაშია თქვენს ბინადრობის ნებართვის ბარათზე მითითებულ თარიღამდე.

რა იგულისხმება საერთაშორისო დაცვის დროებითობაში?

დროებითი საერთაშორისო დაცვა ნიშნავს, რომ საიმიგრაციო სამსახური უფრო ხშირად განიხილავს საერთაშორისო დაცვის გაგრძელების აუცილებლობას. საერთაშორისო დაცვის საფუძველზე გაცემული ბინადრობის ნებართვები კვლავ A ტიპის ნებართვები იქნება, ანუ უწყვეტი ბინადრობის ნებართვები. მაგრამ ამის მიზანია, რომ საერთაშორისო დაცვა გაიცეს პირზე მხოლოდ იმ დროით, სანამ მას ეს სჭირდება. დაცვის გაგრძელების საჭიროებაზე გავლენას ახდენს, მაგალითად, შემდეგი:

- საერთაშორისო დაცვის მიღების შემდეგ უსაფრთხოების ვითარება თქვენს სამშობლოში შეიცვალა.

- თქვენ იმოგზაურეთ თქვენს სამშობლოში ან ყოფილ მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში
- თქვენ მიიღეთ იმ ქვეყნის მიერ გაცემული პასპორტი, რომლის მოქალაქეობაც გაქვთ.

დანაშაულებს უფრო დიდი გავლენა აქვს საერთაშორისო დაცვის მინიჭებასა და შეწყვეტაზე, ვიდრე ადრე

ცვლილება კანონში საერთაშორისო დაცვის არ მინიჭებისა და შეწყვეტის ახალ საფუძვლებს მატებს. წაიკითხეთ ჩვენს ვებგვერდზე, რა სიტუაციებში შეიძლება არ გაიცეს საერთაშორისო დაცვა .

წაიკითხეთ ჩვენს ვებგვერდზე, თუ რა სიტუაციებში შეუძლია საიმიგრაციო სამსახურს შეწყვიტოს ლტოლვილის ან შენაცვლებითი მფარველობის სტატუსი .

ენის ვერსიები